



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„გამტკიცებ“

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი კვეკელიშვილი

7 აპრილი 2025 წელი

N 9/36

ეგზ.: N1

საქართველოს პარლამენტის 2019-2021 წლების საფინანსო-
ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის
ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი

ტერმინები და შემოკლებები	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	4
სახელმწიფო შესყიდვები	4
რეკომენდაციები	5
1. შესავალი	6
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	6
აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
აუდიტის საგანი	6
აუდიტის მასშტაბი	6
აუდიტის კრიტერიუმები	6
აუდიტის მიზანი	7
აუდიტის მეთოდოლოგია	7
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	8
2. აუდიტის მიგნებები	10
2.1 სახელმწიფო შესყიდვები	10
2.1.1 ნაკლოვანებები საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას	11
2.1.2 პრეტენდენტთა შეფასებისა და გამარჯვებულის გამოვლენის პროცესის ხარვეზები	13
დასკვნა	15
2.2 სატრანსპორტო საშუალებების ექსპლოატაციაზე გაწეული ხარჯები	15
2.2.1 სატრანსპორტო საშუალებების ექსპლოატაციის პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები	15
2.3 მივლინებებზე გაწეული ხარჯები	16
2.3.1 ნაკლოვანებები მივლინებულ პირებზე სადღეღამისო ნორმების გაცემისას	16
2.3.2 ავიაბილეთების შესყიდვის ნაკლოვანებები	17
2.3.3 ნაკლოვანებები სამივლინებო ხარჯების ავანსად გაცემისას	18
საკონტაქტო ინფორმაცია	20

ტერმინები და შემოკლებები

პარლამენტის აპარატი – საქართველოს პარლამენტის აპარატი.

შესყიდვების სააგენტო – სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

SPA – ერთეულებიანი ელექტრონული ტენდერი.

NAT – ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე.

CMR – ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი ანგარიშები.

დავების საბჭო – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭო.

აგაი – ავტომატური საწვავით გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს პარლამენტის 2019-2021 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

სახელმწიფო შესყიდვები

ნაკლოვანებები საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას

ერთეულ შემთხვევაში პარლამენტის აპარატის მიერ სატენდერო პირობებით შესასყიდი საქონლის/მომსახურების ტექნიკური, ხარისხობრივი მახასიათებლების შემზღუდველ ჩარჩოებში მოქცევა, ზედმეტად დეტალიზება წარმოშობს რისკებს, რომ სატენდერო პირობების მოთხოვნები მორგებული იყო კონკრეტული ბრენდის და მიმწოდებლის შესაძლებლობებზე, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს ალტერნატიული წინადადების წარმოდგენის შესაძლებლობებს და შესყიდვის პროცესში არაკონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას განაპირობებს. შესაბამისად, აღნიშნულით იზღუდება პოტენციური მიმწოდებლის მხრიდან ტენდერში მონაწილეობის ინტერესი.

სატენდერო კომისიის საქმიანობის ხარვეზები პრეტენდენტთა შეფასებისა და გამარჯვებულის გამოვლენის პროცესში

რიგ შემთხვევებში პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტების შერჩევა-შეფასების პროცესი გარკვეული ხარვეზებით და ნაკლოვანებებით მიმდინარეობდა, პრეტენდენტების შერჩევა-შეფასებისას სრულად არ არის გამოკვლეული გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ყველა გარემოება და ფაქტი, შესაბამისად, გადაწყვეტილება მიიღება გარემოებებისა და ფაქტების დეტალური, ამომწურავი მსჯელობისა და ანალიზის გარეშე, პრეტენდენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის მოქმედ კანონმდებლობასთან და სატენდერო პირობებთან შესაბამისობის დადგენის გარეშე.

ტრანსპორტის ხარჯები

ტრანსპორტის ექსპლოატაციის პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები

საქართველოს პარლამენტს არ აქვს დამტკიცებული ინსტრუქცია და არ არის დანერგილი კონტროლის სათანადო მექანიზმები, სამსახურებრივი და სამორიგეო ავტომობილების მიზნობრივად გამოყენების უზრუნველსაყოფად, რაც წარმოშობს როგორც ტრანსპორტის, ისე საწვავის არაეკონომიურად გამოყენების რისკებს.

მივლინების ხარჯები

ნაკლოვანებები მივლინებულ პირებზე სადღეღამისო ნორმების გაცემისას

მივლინებულ პირთა სამივლინებო განაცხადები და სამივლინებო განაცხადებზე პარლამენტის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის დასკვნები, რიგ შემთხვევებში არ არის რელევანტური მიმწვევი მხარის მიერ წარმოდგენილ დღის წესრიგთან, შედეგად, ფიქსირდება მივლინებულ პირებზე სადღეღამისო ნორმის გაზრდილი მოცულობით ანაზღაურების შემთხვევები.

ავიაბილეთების შესყიდვის პროცესის ნაკლოვანებები

პარლამენტის აპარატის მიერ სამივლინებო განაცხადების დადგენილი წესის დაუცველად, დაგვიანებით შევსება და შესაბამისად, ავიაბილეთების გამგზავრებამდე მოკლე პერიოდში შესყიდვა, მოქმედებს შესასყიდი ავიაბილეთების ღირებულებაზე და წარმოშობს საბიუჯეტო რესურსების არაეკონომიურად განკარგვის რისკებს.

ნაკლოვანებები სამივლინებო ხარჯების ავანსად გაცემისას

საქართველოს პარლამენტის აპარატში არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომლებიც შეზღუდავდა ანგარიშვალდებულ პირზე ახალ საავანსო ანგარიშსწორების წარმოებას, ძველი სამივლინებო ანგარიშების დახურვის და შესაბამისად, ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთების წარმოუდგენლობის გარეშე.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1. ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართლზომიერი გამოყენების უზრუნველყოფის, კონტროლის გარემოს გაუმჯობესების და საწვავის არამიზნობრივი ხარჯვის პრევენციის მიზნით საქართველოს პარლამენტმა შეიმუშაოს ინსტრუქცია ავტოპარკის მართვის საკითხებთან დაკავშირებით. კარგი პრაქტიკის დანერგვისთვის შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს საჯარო სექტორში არსებული პრინციპები.

რეკომენდაცია N2. საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად განკარგვის მიზნით საქართველოს პარლამენტმა შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის ეფექტიანი მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამივლინებო განაცხად(ებ)ში ასახული ინფორმაციის შესაბამისობა მიმწვევი მხარის მიერ ასანაზღაურებელ ოდენობებთან.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

საქართველოს პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – საქართველოს პარლამენტის აპარატის 2019-2021 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

საქართველოს პარლამენტის აპარატის მიერ 2019-2021 წლებში გაწეული საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა 2019 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;

- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 24 იანვრის N9/3 ბრძანება „საქართველოს პარლამენტის აპარატის დებულების“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება „საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურის, სახელმწიფო მოსამსახურეთა და საჯარო მოსამსახურეთა (პროფესიული საჯარო მოხელეებისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების) საშტატო ნუსხისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის N33, 2020 წლის 9 იანვრის N31 და 2021 წლის 15 იანვრის N17 განკარგულებები;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“;
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 3 ივლისის N217/3 ბრძანება „საქართველოს პარლამენტის წევრთათვის და პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2013 წლის 7 თებერვლის №29/3 გადაწყვეტილება „მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრის ბიუროს ფუნქციების, ორგანიზებისა და საქმიანობის წესის და პარლამენტის ბიუჯეტიდან ბიუროსათვის გამოყოფილი თანხის განკარგვის წესის განსაზღვრის შესახებ“;

აუდიტის მიზანი

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- ს მარეგულირებელი ნორმების შესწავლა და ანალიზი;
- ს დოკუმენტური ინფორმაციის ანალიზი;
- ს მონაცემთა ბაზების ანალიზი;
- ს პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

პარლამენტის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია: ხალხის ინტერესების უზენაესობა, მრავალპარტიულობა, წარმომადგენლობითი პროპორციულობის დაცვა, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების დაცვა და პატივისცემა, საჯაროობა, გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა.

პარლამენტის მუშაობის წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით, რომელსაც სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს პარლამენტი. რეგლამენტს აქვს კანონის ძალა.

საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომების, ბიუროს, პარლამენტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების, პარლამენტის წევრების, კომიტეტების, ფრაქციების, უმრავლესობის, უმცირესობის, საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების საქმიანობის ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ, საინფორმაციო, საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკურ და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის აპარატი.

საქართველოს პარლამენტის აპარატს ხელმძღვანელობს პარლამენტის აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პარლამენტის თავმჯდომარე. პარლამენტის აპარატის უფროსს ჰყავს 3 მოადგილე, რომელთაც პარლამენტის აპარატის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პარლამენტის თავმჯდომარე.

პარლამენტის აპარატის სტრუქტურული ერთეულებია:

-)/ პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტი;
-)/ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეთა სამდივნოები;
-)/ ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი;
-)/ იურიდიული დეპარტამენტი;
-)/ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი;
-)/ საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი;
-)/ ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტი;
-)/ სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
-)/ საორგანიზაციო დეპარტამენტი;
-)/ საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
-)/ საქმისწარმოების დეპარტამენტი;
-)/ მანდატურის სამსახური;
-)/ პარლამენტის კომიტეტების აპარატები;
-)/ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი.

N1 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია პარლამენტის (0101 კოდით – საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობა) 2019-2021 წლებში გაწეული ხარჯების შესახებ:

ცხრილი N1		(ლარი)	
დასახელება	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი
სულ	63,804,769	53,983,014	55,969,966
ხარჯები	56,113,284	50,874,629	53,888,560
შრომის ანაზღაურება	30,061,250	30,245,139	31,705,250
საქონელი და მომსახურება	24,551,420	18,202,466	20,149,838
გრანტები	73,778	50,948	62,466
სოციალური უზრუნველყოფა	971,836	514,657	356,006
სხვა ხარჯები	455,000	1,861,419	1,615,000
არაფინანსური აქტივების ზრდა	7,691,484	3,108,385	2,081,407

N2 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის მიერ 2019-2021 წლებში „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯების შესახებ:

ცხრილი N2		(ლარი)				
წელი	010101	*	010102	010103		
	თანამშრომლებზე შტატით	შრომითი ხელშეკრულებით	შტატით გათვალისწინებულ პირებზე	შტატით გათვალისწინებულ პირებზე	შრომითი ხელშეკრულებით	სულ
2019	14,548,766	470,740	1,870,076	9,568,965	6,732,560	33,191,107
2020	14,441,015	532,328	1,761,885	8,846,448	5,834,924	31,416,599
2021	15,084,091	620,891	1,477,191	9,517,532	6,154,695	32,854,400
სულ	44,073,872	1,623,959	5,109,152	27,932,945	18,722,179	97,462,106

შენიშვნა: *

010101 – საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხებდველო საქმიანობა;

010102 – საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა;

010103 – საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 სახელმწიფო შესყიდვები

პარლამენტის აპარატის მიერ 2019-2021 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში შესყიდვების განხორციელების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებებისა და ჩატარებული ტენდერების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ N3 ცხრილში:

ცხრილი N3				(ლარი)		
წელი	ელექტრონული ტენდერი და კონკურსები		გამარტივებული		სულ	
	ხელშ.	თანხა	ხელშ.	თანხა	ხელშ.	თანხა
2019	116	6,698,540	110	2,021,867	226	8,720,408
2020	78	4,005,195	90	1,295,361	168	5,300,556
2021	83	2,679,959	93	1,622,609	176	4,302,568
ჯამი	277	13,383,694	293	4,939,837	590	18,323,532

N4 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია პარლამენტის აპარატის მიერ 2019-2021 წლებში დაგეგმილი და ფაქტობრივად განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ:

ცხრილი N4					(ლარი)
წელი	შესყიდვების გეგმა	დაზუსტებული შესყიდვების გეგმა	სხვაობა (%)	განხორც. შესყიდვები	სხვაობა (%)
1	2	3	3/2	4	4/3
2019	8,896,000	10,220,500	14.8%	8,720,408	14.6%
2020	9,200,000	9,700,000	5.4%	5,300,556	45.3%
2021	9,700,000	9,700,000	0	4,302,568	55.6%

პარლამენტის აპარატის მიერ მიერ 2019 წლის შესყიდვების დაზუსტებული წლიური გეგმით შესყიდვების მოცულობა საწყის გეგმასთან შედარებით 14%-ით არის გაზრდილი. ფაქტობრივად, 2019 წელს განხორციელებული შესყიდვები კი 14%-ით ნაკლებია დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით.

ანალოგიურად, 2020 წლის შესყიდვების დაზუსტებული გეგმით შესყიდვების მოცულობა 5%-ით არის გაზრდილი, ხოლო ფაქტობრივად განხორციელებული შესყიდვები 45%-ით ნაკლებია დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით.

2021 წლის დაზუსტებული გეგმით შესყიდვების მოცულობა მიუხედავად მასში შეტანილი ცვლილებებისა, არ გაზრდილა, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ 55%-ით ნაკლები შეადგინა დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით.¹

¹ საქართველოს პარლამენტის აპარატის განმარტებით, მოცემული პროცენტული მაჩვენებელი განაპირობა 2020-2021 წლებში არსებულმა COVID-19-ის პანდემიამ.

2.1.1 ნაკლოვანებები საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით,² შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ, შესრულების ან/და ფუნქციურ სპეციფიკაციებთან, აგრეთვე პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის. აღნიშნული მოთხოვნები უნდა იყოს პროპორციული და არადისკრიმინაციული, ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას და პრეტენდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას.

შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციებით,³ შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ფუნქციური სპეციფიკაციები უნდა იყოს მარტივი და გასაგები – სპეციფიკაციები არ უნდა შეიცავდეს ზედმეტ დეტალებს. სპეციფიკაციები არ უნდა იყოს მორგებული ერთი რომელიმე ბრენდის ან მოდელის პროდუქტზე; მნიშვნელოვანია, ყოველი სპეციფიკაცია რელევანტური იყოს შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებასთან, რათა თავიდან იქნეს აცილებული შესყიდვის ობიექტის გადაჭარბებულად შეფასება და შესაბამისად, კონკურენციის შეზღუდვა. ტენდერის ტექნიკურ დოკუმენტაციაში შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანი მოთხოვნების ჩადება შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეამციროს პოტენციურ მიმწოდებელთა რაოდენობა.

შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შედგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებში აუცილებელია დაცული იყოს პროპორციულობის, თანასწორი მოპყრობისა და არადისკრიმინაციული მიდგომის პრინციპები, რაც გულისხმობს წაყენებული მოთხოვნების შესყიდვის ობიექტთან პირდაპირ და ზომიერად პროპორციულ კავშირს.

2019 წლის 5 აპრილს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი⁴ ტელე და აუდიოვიზუალური აპარატურის, ხმისა და ვიდეო ჩაწერისა/აღწარმოების აპარატურისა და თანმდევი ნაწილების შესყიდვის მიზნით. შესყიდვის საგარუდო ღირებულება განისაზღვრა 1,300 ათასი ლარით. სატენდერო დოკუმენტაციით შესასყიდი საქონლის - 31 ერთეული Full HD მოტრიალე თავიანი სტუდიური კამერის ტექნიკურ აღწერილობაში მოთხოვნილი იქნა ზუსტი პარამეტრები, კერძოდ ზომები 198x260x238 მმ და წონა - არაუმეტეს 5კგ. ასევე, ამ კამერებისთვისათვის შესასყიდი IP დისტანციური მართვის დამატებითი 31 ერთეული „ბარათისთვის“ მოთხოვნილი იქნა - ზომები : 134x25.6x74.6 მმ და წონა დაახლოებით 120 გრამი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა,⁵ რომელმაც შემსყიდველს შესთავაზა ზუსტად ანალოგიური ზომების და წონის წარმოებული პროდუქცია.

პარლამენტის აპარატის განმარტებით, შესაძენი ტელე და აუდიოვიზუალური აპარატურის, ხმისა და ვიდეოჩაწერის აპარატურა, აგრეთვე თანმდევი ნაწილები უნდა ყოფილიყო უკვე არსებულ ძვირადღირებულ სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასთან თავსებადი და აღნიშნული მიზნებისთვის მოხდა სპეციფიკაციების დეტალიზება. აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იყო სატენდერო დოკუმენტაციაში მითითება: არსებული

² „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.

³ სასარგებლო რჩევები შესყიდვის ობიექტის მიმართ წაყენებული მოთხოვნების (სპეციფიკაციების) შემუშავებისათვის (განახლებულია 20.07.2017).

⁴ NAT190007047;

⁵ შპს „ინოვატორი“, ს/კ 205102280.

ინფრასტრუქტურის თავსებადობასთან დაკავშირებით ან სხვა შემთხვევაში, თუ მხოლოდ ერთი კონკრეტული ბრენდის პროდუქცია უზრუნველყოფდა თავსებადობას, გამოყენებული უნდა ყოფილიყო შესყიდვის სხვა მეთოდი.

2019 წელს ციფრული ფერადი ბეჭდვის დანადგარის, ტრაფარეტული ბეჭდვის შავ-თეთრი დანადგარის და სტამბისათვის საჭირო სხვა მანქანა-დანადგარების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში,⁶ პრეტენდენტს ევალებოდა 2010 წლიდან მოცემული ტენდერის გამოცხადებამდე „ტექნიკური დავალება-ფასების ცხრილის“ ყველა პოზიციაზე⁷ მითითებული შესყიდვის ობიექტის ანალოგიური საქონლის მიწოდების გამოცდილება. ამასთანავე, მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული შესყიდვის ობიექტი წარმოებული უნდა ყოფილიყო მსოფლიოში ცნობილი და წამყვანი ბრენდ(ებ)ის მიერ და ყველა შეთავაზებული შესყიდვის ობიექტი უნდა ყოფილიყო ისეთი ბრენდის, რომელიც მსოფლიო ბაზარზე, არანაკლებ, 10 წელი იყიდება.

მონაწილე პრეტენდენტების⁸ მიერ ტენდერის აღნიშნული პირობები გასაჩივრებულ იქნა შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოში, სადაც აღნიშნული იყო, რომ სატენდერო პირობები მორგებულია მხოლოდ ერთ კონკრეტულ მიმწოდებელზე, ვინაიდან მითითებული პირობების დაკმაყოფილება საქართველოში მხოლოდ ერთ მიმწოდებელს⁹ შეეძლო და სხვა მიმწოდებლების დისკრიმინაციას იწვევდა.

სახელმწიფო შესყიდვების დავების საბჭოს მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ორივე საჩივარი, სატენდერო კომისიას კი დაევალა ემსჯელა მოთხოვნების რელევანტურობაზე.¹⁰ შედეგად, პარლამენტის აპარატის მიერ შეწყდა¹¹ აღნიშნული ტენდერი და მის ნაცვლად გამოცხადდა ორი დამოუკიდებელი ტენდერი¹² ციფრული ფერადი ბეჭდვის და ტრაფარეტული ბეჭდვის შავ-თეთრი დანადგარების და სტამბისათვის საჭირო სხვა დანადგარების შესყიდვის მიზნით ისე, რომ გამოცდილებასთან დაკავშირებული მსგავსი მოთხოვნა აღარ იყო გათვალისწინებული სატენდერო დოკუმენტაციით. ორივე ტენდერი შედგა და შესაბამისი დანადგარების მიწოდების თაობაზე მიმწოდებლებთან დადებული ხელშეკრულებები იქნა შესრულებული.

პარლამენტის აპარატის მიერ ავტომატური შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით, 2019-2020 წლებში გამოცხადებული ტენდერების სატენდერო დოკუმენტაციაში იკვეთება არაპროპორციული მოთხოვნები, რაც ზღუდავს კონკურენციას. კერძოდ, 33 ავტომატური ტექნოლოგიების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის¹³ დოკუმენტაციით, მიმწოდებელს მოეთხოვა, რომ მას თბილისში ჰქონოდა არანაკლებ ერთი სერვისცენტრი, არანაკლებ – 15 ამწევი ლიფტით, ხოლო 31

⁶ NAT190005178.

⁷ 14 პოზიცია.

⁸ შპს „ჯორჯიან პოლიგრაფ სერვისის“ და შპს „დაზგა“.

⁹ შპს „პოლიგრაფს“.

¹⁰ დავების საბჭომ დაავალა კომისიას ემსჯელა აღნიშნული მოთხოვნების სხვაგვარად ჩამოყალიბების შემთხვევაში, თუ რამდენად შეუძლებელი იყო შემსყიდველის მხრიდან დასახული მიზნის მიღწევა.

¹¹ 2019 წლის 8 აპრილის N2 ოქმი.

¹² 2019 წლის 22 აპრილს გამოცხადებული NAT190007284 და NAT190007286 ტენდერები, რომელთაგან - NAT190007286 უარყოფითი შედეგით დასრულდა და 2019 წლის 23 მაისს გამოცხადდა NAT190009338 ტენდერი.

¹³ SPA180008734.

ავტომატური შეკეთება-მომსახურების შესყიდვის ტენდერით,¹⁴ მინიმუმ, ერთი სერვისცენტრი, არანაკლებ – 10 ამწევი ლიფტით. ასეთი სახით ტექნიკური პარამეტრების ჩამოყალიბება გახდა კონკურენციის შემზღუდველი ფაქტორი და პირველ ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 2 პრეტენდენტმა, ხოლო მეორე ტენდერში – მხოლოდ 1 პრეტენდენტმა, რომელმაც უკონკურენტო გარემოში გაიმარჯვა.

დასკვნა

ერთეულ შემთხვევაში პარლამენტის აპარატის მიერ სატენდერო პირობებით შესასყიდი საქონლის/მომსახურების ტექნიკური, ხარისხობრივი მახასიათებლების შემზღუდველ ჩარჩოებში მოქცევა, ზედმეტად დეტალიზება წარმოშობს რისკებს, რომ სატენდერო პირობების მოთხოვნები მორგებული იყო კონკრეტული ბრენდის და მიმწოდებლის შესაძლებლობებზე, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს ალტერნატიული წინადადების წარმოდგენის შესაძლებლობებს და შესყიდვის პროცესში არაკონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას განაპირობებს. შესაბამისად, აღნიშნულით იზღუდება პოტენციური მიმწოდებლის მხრიდან ტენდერში მონაწილეობის ინტერესი.

2.1.2 პრეტენდენტთა შეფასებისა და გამარჯვებულის გამოვლენის პროცესის ხარვეზები

სატენდერო კომისია¹⁵ პრეტენდენტებს აფასებს მათ მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადებების მიხედვით, ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის – „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებიდან, არაუგვიანეს, 5 სამუშაო დღის ვადაში, სატენდერო კომისიამ უნდა იმსჯელოს,¹⁶ შეესაბამება თუ არა ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო პირობებს. გამარჯვებულად¹⁷ ითვლება ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი, რომლის ტექნიკური დოკუმენტაცია, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში, ნიმუში, ექსპერტიზის დასკვნა ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი შეესაბამება სატენდერო პირობებს.

პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის საქმიანობა ჩატარებულ ტენდერებში მონაწილე პრეტენდენტების შეფასებისა და გამარჯვებულის გამოვლენის პროცესში გარკვეული ხარვეზებით მიმდინარეობდა.

პარლამენტის აპარატის მიერ 2019 წლის 22 ოქტომბერს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი¹⁸ პარლამენტის B კორპუსში არსებული OTIS წარმოების GEN-2 PREMIER კლასის ლიფტის სარდაფის სართულზე ჩაყვანის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე. სატენდერო პირობებით პრეტენდენტს უნდა წარედგინა: მინიმუმ, ორი დადებითი რეკომენდაცია 2017 წლიდან აღნიშნული ტენდერის გამოცხადებამდე პერიოდში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების – ლიფტ(ებ)ის სამონტაჟო სამუშაოების შესრულების შესახებ. რეკომენდაციას თან უნდა დართოდა დამატებითი დოკუმენტაცია, კერძოდ: შესაბამისი ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებიც დაადასტურებდა ხელშეკრულების შესრულების ფაქტს. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციაში მითითებული იქნებოდა

¹⁴ NAT190021876.

¹⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 25-ე მუხლი.

¹⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 27-ე მუხლი.

¹⁷ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 29-ე მუხლი.

¹⁸ NAT190020226.

სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი ელექტრონული სისტემის მონაცემები, კერძოდ: SPA, NAT, CMR ან სხვა უნიკალური ნომრები, მაშინ დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა სავალდებულო აღარ იყო. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა, რომელმაც მითითებული პირობის დასაკმაყოფილებლად წარმოადგინა ორი რეკომენდაცია. რეკომენდაციებს თან ერთვის ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები, რომელთა მიხედვით ვერ დასტურდება სატენდერო პირობის მოთხოვნა, კერძოდ: ხელშეკრულებით და მიღება-ჩაბარების აქტით ირკვევა, რომ პრეტენდენტს მასთან შესრულებული ჰქონდა სავაჭრო ცენტრში სართულშუა ესკალატორის მიწოდებისა და მონტაჟის სამუშაოები; ხოლო მეორე რეკომენდაციით: ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი ადასტურებდა მხოლოდ ლიფტების მიწოდებას, ხოლო სამონტაჟო სამუშაოებზე მასში არაფერი იყო აღნიშნული. შესაბამისად, არცერთი რეკომენდაცია არ აკმაყოფილებდა სატენდერო პირობებს. მიუხედავად ამისა, სატენდერო კომისიის მიერ აღინიშნა, რომ პრეტენდენტის წარდგენილი დოკუმენტაცია სრულად აკმაყოფილებდა სატენდერო პირობებს და მასთან გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

გარდა ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა, პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტების შეფასების პროცესში არსებულ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე მიუთითებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოს გადაწყვეტილებებიც.

კერძოდ, სს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ DET200015702_01(NAT) საჩივრის საფუძველზე, საბჭოს მიერ 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით მიჩნეულ იქნა, რომ პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება¹⁹ არ შეესაბამებოდა კანონმდებლობას და არასწორად მოხდა სს „არდი დაზვევის“ გამარჯვებულად გამოვლენა. საბჭოს გადაწყვეტილებით კომისიას დაევალა მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება.

სადაზღვევო კომპანია სს „არდი დაზვევის“ DET20020682_02(NAT) საჩივარი დავების საბჭოს მიერ 2021 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მიჩნეულ იქნა, რომ სატენდერო კომისიის მიერ ტენდერში²⁰ არასწორად მოხდა სს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ გამარჯვებულად ცნობა და კომისიას დაევალა მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა.

შპს „დელტა კონსალტინგის“ საჩივარი²¹ შპს „გრინ სისტემის“ მიერ დოკუმენტაციის დაზუსტებასთან დაკავშირებით, დავების საბჭოს მიერ 2020 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და გადაწყდა, რომ სატენდერო კომისიამ დეტალურად, ამომწურავად და არაორაზროვნად უნდა მიუთითოს, რის საფუძველზე მიიჩნევს, რომ შპს „გრინ სისტემის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს; ამავე დროს სატენდერო კომისიას დაევალა მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა და შპს „გრინ სისტემის“ მიერ წარდგენილი დაზუსტებული დოკუმენტაციის შეფასების განხორციელება წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებით და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

¹⁹ NAT200015702.

²⁰ NAT20020682.

²¹ DET190022701_01(NAT).

დასკვნა

რიგ შემთხვევებში პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტების შერჩევა-შეფასების პროცესი გარკვეული ხარვეზებით და ნაკლოვანებებით მიმდინარეობდა, პრეტენდენტების შერჩევა-შეფასებისას სრულად არ არის გამოკვლეული გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ყველა გარემოება და ფაქტი, შესაბამისად, გადაწყვეტილება მიიღება გარემოებებისა და ფაქტების დეტალური, ამომწურავი მსჯელობისა და ანალიზის გარეშე, პრეტენდენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის მოქმედ კანონმდებლობასთან და სატენდერო პირობებთან შესაბამისობის დადგენის გარეშე.

2.2 სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯები

N6 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია პარლამენტის აპარატის მიერ 2019-2021 წლებში სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შენახვაზე გაწეული ხარჯების შესახებ:

ცხრილი N6

(ლარი)

წელი	ა/მ რაოდ.	მიმდინარე რემონტი	სათადარიგო ნაწილები	საწვავ/საპოხი მასალები	სულ ხარჯი
2019	103	270,815	131,661	879,904	1,282,380
2020	101	187,072	127,853	645,413	960,338
2021	99	192,307	116,816	748,600	1,057,723

2.2.1 სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები

2013 წელს ერთგვაროვანი სტანდარტის შემოღების მიზნით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით,²² შეიქმნა სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის, შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისია. კომისიას დაევალია დადგენილების პროექტის მომზადება, რომლის მიზანსაც სახელმწიფო ავტოპარკის მართვის საკითხების დარეგულირება, უკვე არსებული ავტოპარკის ოპტიმიზაცია და საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა წარმოადგენდა.

შესაბამისად, 2014 წელს ამოქმედდა საქართველოს მთავრობის N121 დადგენილება,²³ რომლითაც დადგინდა ერთიანი სტანდარტი სახელმწიფო ავტოპარკის კლასიფიკაციის, მათი განპიროვნებული და მორიგე ფუნქციების განაწილების, კლასების და ავტომობილების შესყიდვა/ჩანაცვლების საკითხების მოსაწესრიგებლად.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის აღნიშნული დადგენილების მოქმედება გავრცელდა მხოლოდ აღმასრულებელ ორგანოებზე, ხოლო სახელმწიფო ავტოპარკის დანარჩენი ნაწილის განმკარგველ სახელმწიფო უწყებებს, მათ შორის, საქართველოს პარლამენტს რეკომენდაციის სახით ეთხოვათ²⁴ რეგულაციის პრინციპების გათვალისწინება.

პარლამენტის აპარატში არ არის შემუშავებული ინსტრუქცია,²⁵ რომლითაც განისაზღვრებოდა სამსახურებრივი ავტომობილების გამოყენების წესი და

²² საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის N266 დადგენილება.

²³ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესი“.

²⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილების მე-2 მუხლი.

²⁵ პარლამენტის აპარატში ავტოტრანსპორტის მოვლა-შენახვის ავტომანქანების ტექნოსახურების, საწვავის და ავტომანქანების რეცხვის ლიმიტებს ხაზინადართა საბჭოს მიერ მიწოდებული წინადადებების საფუძველზე, ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის ბიურო.

პრინციპები, ამასთანავე, არ არის დანერგილი მოხელის შვებულებასა და მივლინებაში ყოფნის დროს ავტომანქანით სარგებლობის კონტროლის მექანიზმები.

2019-2021 წლებში საქართველოს პარლამენტში სამორიგეო²⁶ ავტომობილების გადაადგილებასთან დაკავშირებით შედგენილი დოკუმენტაცია არ იწარმოებოდა სრულყოფილი ფორმით.²⁷ ამასთანავე, აღნიშნულ პერიოდში სამორიგეო ავტომობილებზე ფიქსირდებოდა არასამუშაო დღეებში საწვავის ჩასხმის ფაქტები.

დასკვნა

საქართველოს პარლამენტს არ აქვს დამტკიცებული ინსტრუქცია და არ არის დანერგილი კონტროლის სათანადო მექანიზმები, სამსახურებრივი და სამორიგეო ავტომობილების მიზნობრივად გამოყენების უზრუნველსაყოფად, რაც წარმოშობს როგორც ტრანსპორტის, ისე საწვავის არამართლზომიერად გამოყენების რისკებს.

რეკომენდაცია N1

ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართლზომიერი გამოყენების უზრუნველყოფის, კონტროლის გარემოს გაუმჯობესების და საწვავის არამიზნობრივი ხარჯვის პრევენციის მიზნით საქართველოს პარლამენტმა შეიმუშაოს ინსტრუქცია ავტოპარკის მართვის საკითხებთან დაკავშირებით. კარგი პრაქტიკის დანერგვისთვის შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს საჯარო სექტორში არსებული პრინციპები.

2.3 მივლინებებზე გაწეული ხარჯები

N7 ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაცია პარლამენტის აპარატის მიერ 2019-2021 წლებში მივლინებების მუხლით გაწეული ხარჯების შესახებ:

ცხრილი N7		(ლარი)	
დასახელება	2019	2020	2021
ქვეყნის გარეთ	2,322,611	473,691	1,046,905
ქვეყნის შიგნით	125,142	25,584	49,093
ჯამი	2,447,753	499,275	1,095,998

2.3.1 ნაკლოვანებები მივლინებულ პირებზე სადღეღამისო ნორმების გაცემისას

თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოხელის მივლინებას მიმღები მხარე უზრუნველყოფს²⁸ კვების ხარჯებით, მოხელეს უნაზღაურდება სადღეღამისო ნორმის მხოლოდ 30%, ხოლო ქვეყნის შიგნით მივლინებისას განსაზღვრული სადღეღამისო ხარჯები გაიცემა სრულად.

საპარლამენტო დელეგაციის,²⁹ პარლამენტის წევრის, პარლამენტის აპარატის სახელმწიფო მოსამსახურის, საჯარო მოსამსახურის ქვეყნის ფარგლების გარეთ მივლინების შემთხვევაში, სამივლინებო განაცხადზე აუცილებელია პარლამენტის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის დასკვნა იმის შესახებ, თუ რა ხარჯებს ანაზღაურებს მიმწვევი მხარე. სამივლინებო მიწვევა უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე ნათარგმნი და დადასტურებული პარლამენტის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ.

²⁶ სამორიგეო ავტომობილი - ზოგადი სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც არ განეკუთვნება განპიროვნებული ავტომობილების რიცხვს და გამოიყოფა ყოველი კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე, დაწესებულების კონკრეტულ თანამშრომელზე.

²⁷ მიღებული განმარტებით, მსგავსი დოკუმენტაციის წარმოება, სამორიგეო ავტომანქანების სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება.

²⁸ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 3 ივლისის N217/3 ბრძანების პირველი პუნქტი და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“, მე-3 მუხლის მე-13 პუნქტი.

²⁹ „საქართველოს პარლამენტის წევრთათვის და პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 3 ივლისის N217/3 ბრძანების მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

სამივლინებო განაცხადების და მოწვევის დოკუმენტაციის შესწავლის³⁰ შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც პარლამენტის აპარატის მიერ მივლინებულ პირებზე სადღეღამისო ნორმის ანაზღაურება განხორციელდა სრული მოცულობით იმ შემთხვევებში, როდესაც მიმწვევი მხარის დღის წესრიგით განსაზღვრული იყო მივლინებული პირების კვებით უზრუნველყოფა.

დასკვნა

მივლინებულ პირთა სამივლინებო განაცხადები და სამივლინებო განაცხადებზე პარლამენტის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის დასკვნები, რიგ შემთხვევებში არ არის რელევანტური მიმწვევი მხარის მიერ წარმოდგენილ დღის წესრიგთან, შედეგად ფიქსირდება მივლინებულ პირებზე სადღეღამისო ნორმის გაზრდილი მოცულობით ანაზღაურების შემთხვევები.

რეკომენდაცია N2

საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად განკარგვის მიზნით საქართველოს პარლამენტმა შეიმუშაოს და დაწეროს კონტროლის ეფექტიანი მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამივლინებო განაცხად(ებ)ში ასახული ინფორმაციის შესაბამისობა მიმწვევი მხარის მიერ ასანაზღაურებელ ოდენობებთან.

2.3.2 ავიაბილეთების შესყიდვის ნაკლოვანებები

პარლამენტის წევრი,³¹ პარლამენტის აპარატის სახელმწიფო მოსამსახურე, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია მივლინებაში გამგზავრებამდე 14 დღით ადრე შეავსოს და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს/საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსს წარუდგინოს შესაბამისი დანართებით დამტკიცებული სამივლინებო განაცხადი, რომელშიც უნდა მიუთითოს მივლინების მიზანი, საფუძველი და ადგილი, სადღეღამისო ნორმა, მგზავრობის, განთავსებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამივლინებო დანამატები და მათი გამღები მხარე.

პარლამენტის აპარატის საფინანსო სამსახურის მიერ საზღვარგარეთ მივლინებული პირისთვის სამგზავრო ავიაბილეთის შესყიდვის პროცედურები იწყება სამივლინებო ბრძანების გამოცემის და ელექტრონული ფოსტის საშუალებით მოთხოვნის მიღების შემდეგ, სხვადასხვა ტურისტულ სააგენტოში შესაბამისი მიმართულების ავიაბილეთის ფასთა გამოკითხვის საშუალებით.

ავიაბილეთების შესყიდვის დროს ბილეთის ღირებულებაზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას, მაგალითად:

-)/ ფრენამდე რამდენი დღით ადრე ხდება ბილეთის შესყიდვა;
-)/ ემთხვევა თუ არა ფრენის თარიღები უქმე დღეებს;
-)/ რამდენი დღის ინტერვალში ხდება უკან დაბრუნება;
-)/ რომელი ავიაკომპანია ახორციელებს ფრენას;
-)/ არის თუ არა პირდაპირი რეისი და სხვ.

ზემოთ აღნიშნულის მიხედვით, ღირებულების განსაზღვრისას ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს პერიოდი, თუ რამდენი დღით ადრე ხდება ავიაბილეთის შეძენა/დაჯავშნა, ვინაიდან თითოეული ავიაკომპანია ახდენს სარეალიზაციო ავიაბილეთების რანჟირებას კლასების მიხედვით და როგორც წესი, ფრენამდე ახლო პერიოდში, ფასდაკლებულ კლასს მიკუთვნებული ბილეთები ან აღარ არის ან/და დეფიციტურია.

³⁰ შერჩეული 228 სამივლინებო ბრძანებიდან გამოვლინდა 11 შემთხვევა.

³¹ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 3 ივლისის N217/3 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პარლამენტის წევრთათვის და პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის“ მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

N8 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია ავიაკომპანიების მიერ ავიაბილეთების კლასებად რანჟირების სქემის შესახებ:

ცხრილი N8

ფასდაკლებული ეკონომკლასის ბილეთები	K, L, Q, V, W, U, T, X, N, O, S
ეკონომკლასის ბილეთები, ფასდაკლებების გარეშე	B, M, Y, H
ფასდაკლებული ბიზნესკლასის ბილეთები	D, I, Z
ბიზნესკლასის ბილეთები, ფასდაკლებების გარეშე	J, C, D
პრემიუმკლასი ბილეთები ეკონომიური ტარიფებით	W, E
ბილეთები სრულფასოვანი პირველი კლასის მგზავრებისთვის	A, F

პარლამენტის აპარატის მიერ 2019-2021 წლებში მივლინებებზე გაწეული ხარჯების 40%-ს³² შესყიდული ავიაბილეთების ღირებულება შეადგენს.

შესყიდული ავიაბილეთების ერთეულის ღირებულებებში არსებული განსხვავებების დადგენის მიზნით, სტატისტიკური მეთოდით შეირჩა 228 ერთეული სამივლინებო ბრძანება, რომლის ფარგლებშიც შესწავლულ იქნა 712 მივლინებული პირისთვის შესყიდული 1874 ავიაბილეთი.

აღსანიშნავია, რომ არცერთ შემთხვევაში არ იყო დაცული პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით³³ დამტკიცებული წესის მოთხოვნა, რომლის თანახმად, სამივლინებო განაცხადი უნდა შეივსოს მივლინაში გამგზავრებამდე 14 დღით ადრე. უმეტეს შემთხვევაში სამივლინებო განაცხადები გამგზავრებამდე 3-4 დღით ადრეა შედგენილი. შემთხვევათა 60%-ის დროს შესყიდულია ავიაკომპანია TURKISH AIRLINES-ის ავიაბილეთები, რომელთა შესწავლისას გამოვლინდა, რომ შესყიდული ავიაბილეთი მიეკუთვნებოდა Y კლასს, რომელიც, როგორც N8 ცხრილშია აღწერილი, არ ითვალისწინებდა ფასდაკლებას.

დასკვნა

პარლამენტის აპარატის მიერ სამივლინებო განაცხადების დადგენილი წესის დაუცველად, დაგვიანებით შევსება და შესაბამისად, ავიაბილეთების გამგზავრებამდე მოკლე პერიოდში შესყიდვა, მოქმედებს შესასყიდი ავიაბილეთების ღირებულებაზე და წარმოშობს საბიუჯეტო რესურსების არაეკონომიურად განკარგვის რისკებს.

2.3.3 ნაკლოვანებები სამივლინებო ხარჯების ავანსად გაცემისას

პარლამენტის აპარატის³⁴ საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტი პარლამენტის წევრის, პარლამენტის აპარატის სახელმწიფო მოსამსახურის, საჯარო მოსამსახურის მორიგი მივლინების თანხას გაცემს წინა მივლინების ანგარიშის დახურვის შემდეგ.

სამივლინებო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად 2019-2021 წლებში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მორიგი სამივლინებო ხარჯების ავანსად გაცემა ანგარიშვალდებულ პირებზე განხორციელებულია წინა მივლინებებზე ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთების

³² 2019 წელი - 40%, 2020 წელი - 36% და 2021 წელი - 39%.

³³ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 3 ივლისის N217/3 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პარლამენტის წევრთათვის და პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის“ მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

³⁴ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 3 ივლისის N217/3 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პარლამენტის წევრთათვის და პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის“ მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

წარმოდგენლობისა და შესაბამისად, ძველი სამივლინებო ანგარიშების დახურვის გარეშე.

დასკვნა

საქართველოს პარლამენტის აპარატში არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომლებიც შეზღუდავდა ანგარიშვალდებულ პირზე ახალ საავანსო ანგარიშსწორების წარმოებას, ძველი სამივლინებო ანგარიშების დახურვის და შესაბამისად, ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენლობის გარეშე.

აუდიტორები


ხელმოწერა

ბორის მჭედლიშვილი
წამყვანი აუდიტორი

ლაშა ჭანტურიშვილი
წამყვანი აუდიტორი

თენგიზ გურასაშვილი
უფროსი აუდიტორი

თეიმურაზ გოდუაძე
უფროსი აუდიტორი

 07.04.2025წ.
 07.04.2025წ.
 07.04.2025წ.
 07.04.2025წ.

საკონტაქტო ინფორმაცია**ვებგვერდი და
სოციალური მედია**

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE